№ 138
ოთხშაბათი, 1 ივლისი, 1898 წ.

1877—1898

ივერია

№ 138
ოთხშაბათი, 1 ივლისი, 1898 წ.
ნიკოლოზის ქუჩა, № 2.
ტფილისი.

F1/2 № 12902
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ბაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ხან-მოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 28 ივნისს, შუადამეს, გარდაიცვალა

თამარი სოლომონის ასული ქართველიშვილისა,

რასაც დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა მეუღლე გარდაცვალებულისა **გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი** და შვილნი მისნი: **მელანია ფილოსანისა, ნინო არჯევანიძისა, ნიკო და გიორგი გიორგის ძენი** ძმითა და დებითურთ.

პანაშვიდი—საღამოობით 8 საათზე, მიცვალებულის სახლში, № 180, მიხაილოვის ქუჩაზე; გამოსვენება დიდ-უბის ეკლესიაში ხუთშაბათს, 2 ივლისს, დილის 9 საათზე. (2—106—1)

პარასკევს, 3-ს ივლისს, სტატსკი სოვეტნიკის

ილია ლაზარეს ძე სერგეგრიაკოვის

1160

გარდაცვალებიდგან ნახევარ წლის შესრულების დღეს, გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი დიდუბის მღვთის მშობლის ეკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ.

დაარსდა

ახალი **ანტოლა დიდებულიძისა**, სადაც მსურველთ შეუძლიანთ შეიტყონ ყოველგვარი ცნობა, როგორც, მაგ. ადგილის შოვნის და სხ. შესახებ. მოლაპარაკება კანტორასთან შეიძლება სიტყვიერად და წერილითაც.
ბარიათინსკის ქუჩა, № 3.
(3—107—1)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

ს. ბ. კარაბეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ს. გ. გურგო. 1½—2½ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ვ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ს. ნავასარდიანი—6½—7 საათ.

ს. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებას.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისთვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (ᲬᲔ)

ᲕᲙᲘᲡᲠᲣᲚᲝᲒ

ᲢᲐᲫᲡᲐᲪᲘᲐᲡ და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

ᲞᲚᲐᲜᲘᲡᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲜᲘᲕᲔᲚᲘᲠᲝᲕᲙᲐᲡ.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲒᲠᲘᲠᲝᲠᲘᲡ ᲫᲔ ᲡᲜᲔᲥᲝᲕᲘ. ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26.

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 567.
(50—80—41).

ᲜᲔᲙᲠᲝᲚᲝᲒᲘ

† თამარ სოლომონის ასული ქართველიშვილისა

კვლავ სამკლოვიარო უსტარი იწერება! ის-ის იყო მოვიგლოვეთ ზანი ანი პოეტი და მერე სახელოვანი მესურათხატე და ახლა უნდა გამოვეთხოვოთ ჩინებულს დედას, ძველებურს-ჩვენებურს დედას, მოგახსენებთ. არა თუ მარტო გ. დ. ქართველიშვილის სახლობა სტირის დღეს მისოვის, არამედ მრავალნი სხვანიც არიან მგლოვიარენი, რომელნიც მოსთქვამენ დავითისეულს ჰანგზედ:

„ვა[illegible] რა ბოძი წაიქცა,
სახლ კარი ი[illegible]ავს დაგვექცა,
ლხინი, შვება [illegible] სიამე
სულ ჭირად გარდა[illegible]ვექცა,
ჩვენ ყრმანი დავრჩით, პატრონი
წავიდა, შორს გაგვექცა[illegible]“.

იგი მართლაცა-და იყო დედა-ბოძი კერიისა, რადგან იყო [illegible] და გამრჯელი დიასახლისი, ზედმიწევნით მცოდნე და თანავე აღმასრულებელი ყოველგვარ საოჯახო საქმისა, ბევრის გამომზოგველი და მცირეს გამბარაქიანებელი.

წაიქცა დედა-ბოძი ქვრივ-ობოლთა და უქონელ ქალთა, რომელთათვის განსვენებულის კარი ღია იყო და „პურსა არსებობისასა“ იღებდნენ მისგან.

„შორს გაიქცა პატრონი“ ახალ-მოზარდთა, რომელთაც უხვი შემწეობა ეძლეოდათ მისგან გასაგრძობად სწავლისა.

ეკლესიათაც დააკლდათ, რადგან განსვენებული ბევრს სასყიდელს იმეტებდა მათთვის.

მწიგნობართაც აღარა ჰყავთ ქართულ მწერლობის აღორძინების მოტრფიალე, ის მოტრფიალე, რომლის საფა'ით დაიბეჭდა (პირველად) საქართველოს მოკლე ისტორია.

კერია წმიდათა წმიდანად დასახული ჰქონდა განსვენებულს; შვილთა მოვლა და აღზრდა თვის უსაღმრთოესს მოვალეობად მიაჩნდა მას.

თვით იგი იყო ღვთისნიერი, მოსიყვარულე გულისა, თავმდაბალი, წყნარი, მშვიდი, მართლის მოყვარე და ამავე თვისებებს უნერგავდა თვისთაცა და უცხოთაც.

იგი იყო ის მედგარი არსება, რომლის შესახებ არის ნათქვამი:

„უნდა ქალმან და ყმაწვილმან დაჰხუროს
ბაგე-კბილოსა,
ფუი არ ახსნას საბლითა და ენა შებორკილოსა,
არ მისცეს ნება შეძვრისა წარბს, წამწამს,
თვალის კილოსა,
არცა ვინ თვით [illegible]ვა გაკილოს, არც სხვისგან გაიკილოსა“.

განსვენებულს თუ[illegible]ცა მარტო წერა-კითხვა [illegible]ასწავლა ძველებურ „ოსტატისაგან“, მაგრამ თავის ბუნებრივ [illegible]ნიჭითა და ჭ[illegible]ოთ საკმაოდ გაემეცნიერ[illegible]ებინა თვისი გ[illegible]ნება. ქვეყნის ავი აწუხებდა მას და კარგი [illegible]ებდა. თვისს შეხედ[illegible]ულობას ავსა და კ[illegible]ზედ გამოსთქვამდა ხ[illegible]ალმე სიმღერაში, რომელიც მრავალად [illegible]ცოდა. მის სიმღერასა და დაკვრას არა ერთხელ დაუტკბია სმენა [illegible]ქართველოს წარჩინებულ კაცებისა, რომელნიც მისს ოჯახს ეწვეოდენ ხოლმე [illegible]ცობითა ანუ ორმოცობით...

ქართული ძველებური ზნე, ჩვეულება და საცმელი ისეთივე სიწმინდავე იყო მისთვის, როგორც რომელიმე სალოცავი. „ჩვენებური ლეჩაქიო, გვეტყოდა ხოლმე განსვენებული, იგივ გვირგვინია, გვირგვინი, რომელსაც სხვა ქვეყნებში მხოლოდ

ხალ-ბოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 28 ივნისს, შუადამეს, გარდაიცვალა

თამარი სოლომონის ასული ქართველიშვილისა,

რასაც დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა მეუღლე გარდაცვალებულისა **გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი** და შვილნი მისნი: **მელანია ფილოსანისა, ნინო არჯევანიძისა, ნიკო და გიორგი გიორგის ძენი** ძმითა და დებითურთ.

პანაშვიდი—საღამოობით 8 საათზე, მიცვალებულის სახლში, № 180, მიხაილოვის ქუჩაზე; გამოსვენება დიდ-უბის ეკლესიაში ხუთშაბათს, 2 ივლისს, დილის 9 საათზე. (2—106—1)

ᲕᲙᲘᲡᲠᲣᲚᲝᲒ

ᲢᲐᲫᲡᲐᲪᲘᲐᲡ და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

ᲞᲚᲐᲜᲘᲡᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲜᲘᲕᲔᲚᲘᲠᲝᲕᲙᲐᲡ.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲒᲠᲘᲠᲝᲠᲘᲡ ᲫᲔ ᲡᲜᲔᲥᲝᲕᲘ. ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26.

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 567.
(50—80—41).

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

დათას რვეული

„გზაში“

— აჰა, გზაში ვარ! შევქროლავ ჩრდილოეთისკენ... მაინც ჩემი გავიტანე, სურვილი ავისრულე!... მერე? მერე არ ვიცი რა იქნება. არც თავი მაქვს ეხლა ამის განსჯისა...

...თავი გაბრუებული მაქვს [illegible] რაღაც გამოურკვეველი ხმაური [illegible]ბა მესმის... აზრები მერევა, ხელი [illegible]მიკანკალებს, ყარანდაში ძლივ-ძლი[illegible]ით დასცურავს ქაღალდზედ... წერა[illegible] კი ძალიან მინდა.

ასეთი წამები შეჰხვდებ[illegible] ხ[illegible]ოლმე კაცს, როდესაც გულზედ მძიმე [illegible] რაღაც აწევს, რომელიც სულს [illegible] უგუბებს, იწევს თანდათან ზევით, [illegible]ბჯინება ყელს და ითხოვს [illegible] [illegible]ების გადმოდინებას... მაგრამ მა[illegible]წევს რამე გულზედ? მტანჯავს რამე? ეს მე თითონაც არ ვიცი.

— „ოთხი თუმანი და [illegible]ცხრა მანეთი ძლივს მოგიკოწიწეს!“ ეს [illegible]ერი და წყეული „მომიკო[illegible]ბიწეს“ სულ ყურებში მიწივის! რა[illegible]ომ არ „მომცეს“, რატომ არ მაჩუქეს და უთოოდ „ძლივს მომიკოწიწეს“? ეჰ, გაჭირვებამ არ იცის ლოდნა! იმისთვის სულ ერთია, აქვს რამე, თუ არა აქვს კაცსა!..

— გაჭირვება, დამცირება, თხოვნა, ტირილი, მდუღარება...

ვერაფერს ვხედავ, თვალები მიბნელდება.. არა, ეს ძილი არ არის, არც თავ-დავიწყება...

...აწმყო, წარსული, მომავალნი იმედნი, ტანჯვა, სასოწარკვეთილება, სულ ერთად მერევა გონებაში! არაფერი არ არის გამორკვეული, განსაზღვრული, შუბლზედ ცივს ოფლს მასხავს...

მაგრამ, ჩუ! ეს გორგოლების ღრიჭინი, ჯაჭვების ჩხარა-ჩხური რაღაა? როგორღაც მეცნობა!...

ჰო, ჰო, ქალაქში ჯაჭვებით ხელფეხ შეკრულნი ტუსაღნი მდინარიდგან წყალს ეზიდებოდნენ. სამი ჯარის კაცი მისდევდა. სამივეს თავი მაღლა და კოკლოზინად ეჭირათ... ტუსაღებს-კი ძირს დაეხარათ თავი!.. რისთვის? ამბობენ, რომ სინიდისი წმინდა არა აქვთო!.. მაგრამ მე ხომ სინიდისი წმინდა მაქვს? წმინდა, წმინდა! მაშ ეს ჯაჭვების მწყობრი ჩხარა-ჩხური რაღად მიდგება თვალ-წინ?

—

... ბევრს ხანს ვიჯექ გაუნძრევლად, რაღაც მაწუხებდა, მტანჯავდა, გულს მიქეჯნიდა... თვალები დავხუჭე... ყარანდაში მუხლებზედ ჩამომიცურდა... თავი სრულს დავიწყებას მივეცი...

— „ბატონებო, მოამზადეთ თქვენი ბილეთები!“

თვალებზედ ხელი მოვისვი და... ოხ, ღმერთო! ეს მეშვიდეთ არის. ეს მეშვიდეთ კითხულობენ ბილეთებს! ჩემს პირდაპირ ერთი ვაჭარი სულ ხვრინავს... ალბად კარგად მოეწყო ვაგონში, დამშვიდებულია! ვინ იცის ეხლა რა ტკბილს სიზმრებშია! ბევრი ატოკეს, ბევრი აჯანჯღარეს, სანამ ვაჭარს გონებაში ჩააგდებდნენ და ბილეთს ჩამოართმევდნენ...

ნეტარება მის სიმშვიდეს, მის უდარდელს ძილს!..

კვლავ ისევ ჩემი ფიქრები, კვლავ ტანჯვა... ყვედრება, თხოვნა, ტირილი, წარ...

არ ვიცი ეხლა-ხანს მეძინა თუ არა... არაფერი არ მესმოდა, ვერაფერს ვერ ვხედავდი, რა ხდებოდა ჩემს გარშემო...

აზრებმა შორს გამიტაცეს, წარმომიდგინეს ჩემი წარსული... აი კიდევ ჯაჭვების ჩხარა-ჩხური, გორგოლების ღრიჭინი... მომაგონდა კვლავ ჩვენი ქალაქი... თვალ-წინ წარმომიდგა მდინარის ნაპირი... აქ მოდიან ხოლმე ტუსაღები, თავ-დახრილნი, გაყვითლებულნი, სიცოცხლეს მოკლებულნი, თაგვის ფერ ფარაჯებში გახვეულნი, მხარზედ კოკებით...

აი, მდინარეს მოუახლოვდნენ... მდინარე იმათს დაღვრემილს სახეს ყურადღებას არ აქცევს... მირბის, მიიკლაკნება, ტალღას ტალღაზედ მიაქანებს, სდულს და სჩქეფს... ბუნებას აღვიძებს, სიცოცხლეს აძლევს არე-მარეს... მარტო ტუსაღნი თავ-ჩაქინდრულნი, გაშტერებულნი უსიცოცხლოდ ჩასცილებიან დედა-მიწას, თითქო დამარხულიყოს მათი ბედნიერება, მომავალნი იმედნი. მხიარულად მისჩქეფავს მდინარე, მისთვის რომ იგი ანკარაა, არა აქვს გული მღვრიე! ტუსაღებს კი ათასის ტანჯვა-ვაებისაგან დაჰსერვიათ გული, ჩაჭრობიათ იმედნი, კაცის მაცოცხლებელნი, სასოწარკვეთილებას ღრმად ჩაუნისლავს მათი მდუმარე თვალები...

დიდხანს ვდგევარ ამ მდინარის ნაპირას და დაშტერებით დაკყურებ იმისს მოუღალავს ტალღებსა...

— დათა, შემომესმა უცბად მაისის დილის ეთერსავით ნაზი და ძილსავით ტკბილი ხმა...

მე ტყვია ნაკრავსავით თითქმის ერთს არშინზედ შევხტი...

— რას აკეთებ აქა? რით ვერ მოგწყინდა მდინარის ყურება? მესმის საყვარელი, ძვირფასი ხმა. მივტრიალდი მისკენ... თვითონ ჩემმა იმედმა, სატრფომ, მოირბინა ჩემთან.

— ოჰ, რა მშვენიერებაა!.. იმის შავ-თვალ-წარბებიდგან რაღაცა დამაშოშმანებელი ძალა ჰკრთება, ეფინება ნექტარად ჩემს დაჩაგრულს გულს და ღონეს აძლევს ჩემს ფრთა შეკვეცილს იმედებს!.. სიჩქარისაგან ცოტა დაღლილა... გული უფანცქალებს, თმა გაჭშლია!.. რა ტკბილად ილიმება! ღმერთო ჩემო, რა კარგს და საყვარელს სურათს წარმოადგენდა ამისთანა წუთებში ჩემი ბაბო!

— ჰო, ისე... ჩავფიქრდი... იმის სიმშვენიერით გატაცებულმა ამის მეტი ველარა მოვახერხე-რა.

მეფეები და დედოფლები იხურავენ. მარტო ქართველს კაცს ჰქონდა შნო, რომ ქალისთვის ეცა პატივი უმეტეს თავის თავისა. მხოლოდ ქართველმა ცოლი დედოფლად დაისო სახლში და გვირგვინი დაადგა თავზე. ეს გვირგვინი როგორ გაიცვლება რაღაც კალათის მსგავს თავსახურავზეო!“

„თქვენაო, უთხრა ერთხელ განსვენებულს ეპისკოპოსმა გ. თქვენის სამაგალითო ცხოვრებით დაგვიხატეთ ძველებური ქართველი დედა, ის დედა, რომელიც იყო ბურჯი და სიმტკიცე ქართველთა უძლეველობისა“.

განა ბევრიდა დარჩენილა ამისთანა სიმტკიცე? ცოტა, ფრიად ცოტა, და ამიტომაც ასრე დიდად საგრძნობელია დღევანდელი ჩვენი დასაკლისი.

ხსენება შენი, დედაო თამარ, საუკუნო ჰყავ თავით თვისით. ნეტარ ხარ შენ, ჭეშმარიტად!

მ. ჯანაშვილი

მთავრობის განკარგულებანი

ხელმწიფე იმპერატორმა, გარეშე საქმეთა მინისტრის უმაღლესის მოხსენების თანხმად, 3 ივნისს კეთილ ინება, რომ ეკლესიის ფოსტა ტელეგრაფის კანტორის ზედამხედველმა კოლეგიუსკი სეკრეტარმა თავადმა ვაჩნაძემ მიიღოს და ატაროს მისის უმაღლესობის სპარსეთის შაჰის მიერ ნაბოძები ორდენი „დომისა და მზისა“ მე 3 ხარისხისა.

ახალი ამბავი

*** თავადი ივანე გიორგის ძე მაჩაბელი, 26 ივნისს, დილის 4 საათზე თავისს სახლიდგან გასულა და მას აქედ შინ აღარ დაბრუნებულა. სახლში დაუტოვებია ფული და უბის საათი. ჰშიშობენ, ხომ უბედურება რამ არ შეემთხვაო. მისმა მეუღლემა და ნათესავებმა ეს ამბავი შეატყობინეს პოლიციას, რომელიც დაეძებს თავ. ივანე მაჩაბელს, მაგრამ აქამდე ვერ უპოვნია.

*** 30 ივნისს, „კრუჟოკის“ თხოვნით სამკურნალო სასანიტარო ინსპექტორმა ბ-მა სტეფანოვმა გასინჯა კრუჟოკის მოსამსახურენი და რამდენიმე კაცი ცუდის სენით შეპყრობილი აღმოჩნდა.

იმავე დღეს ბ-ნთ სტეფანოვმა, ისტამანოვმა და გედალინმა გასინჯეს 41 კაცი მოსამსახურე და ამათში ოთხი კაცი აღმოჩნდა ავად იმავე სენით შეპყრობილი.

სამკურნალო-სასანიტარო საბჭოს განზრახვა აქვს წელიწადში ორჯერ გასინჯოს ხოლმე სხვა-და-სხვა სავაჭრო ადგილების მოსამსახურენი. მოხსენება ამის შესახებ მალე წარედგინება ქალაქის საბჭოს.

*** 10 ივლისიდგან 10 აგვისტომდე ტფილისის ქალაქის მოურავი გ. ევანგულოვი ქალაქში არ იქმნება და იმისს თანამდებობას შეასრულებს მისი მოადგილე.

*** რკინის გზის კომისიამ უკვე დაამთავრა რკინის გზის ლიანდაგის დათვალიერება ბაქოსა და ტფილისს შორის და ეხლა შეუდგება ლიანდაგის დათვალიერებას ტფილისიდგან ფოთამდე.

*** პირველ სექტემბერს გამოვა პირველი ნომერი გაზ. „Казбекъ“-სა, რომლის გამოცემაც შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ შეჩერებულ იქმნა 8 თვით. როგორც შევიტყეთ პირველ სექტემბრიდგან გაზეთს ახალი რედაქტორი ეყოლება.

*** შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დაარსებულ განსაკუთრებულ კომისიის თავმჯდომარე სთხოვს ტფილისის საგუბერნიო ბეითალს ცნობებს იმის შესახებ, რომ საყასბოებსა და ან სხვა საბეითალო დაწესებულებაში ხომ არ მოიპოვება ისეთი ღირსშესანიშნავი ნივთი, რომელიც შეიძლება გაიგზავნოს ექსპონატად პარიჟის მომავალ საერთაშორისო გამოფენაზედაო.

*** შაბათს, 27 ივნისს, განსაკუთრებულმა კომისიამ საკუბერნიო ინჟენერის თანადასწრებით დაათვალიერა მე-VI ნაწილის ტყავის ქარხნები, სახელდობრ აკოფოვისა და არუთინოვისა, შაქარა არარატოვისა, დარჩო აპრესოვისა და ა. პაპოვისა. კომისიამ შეუძლებლად იცნო მუშაობის გაგრძელება ამ ქარხნებში შენობათა სიძველისა გამო და პოლიციმეისტრის განკარგულებით დაკეტილ იქმნა ოთხივე ქარხანა.

*** წელს სამკურნალოდ დიდძალს ხალხს მოუყრია თავი ქ. სოხუმში, რომელთაგან მრავალი რუსეთის შიდა და ჩრდილოეთ გუბერნიებიდგან არიან თურმე ჩამოსულნი.

*** 29 ივნისს ავჭალის ქუჩაზედ ჯიბგირებმა გაძარცვეს ერთი ლეკი. საქმე ასე იყო. ორი ლეკი ტფილისში ჩამოვიდა რკინის გზით. ავჭალის ქუჩაზედ ამ ლეკებთან მივიდა ორი კაცი და მოსთხოვეს ბილეთი. ლეკებმა უთხრეს, რომ ბილეთები კონდუქტორს მივეცით და რაღასა გვთხოვთო. ერთმა ჯიბგირმა უთხრა, რომ არა, ფულის ქისაში გაქვს შენახული ბილეთიო. ლეკმა ქისა ამოიღო ჯიბიდგან, რომელშიაც 65 მან. ჰქონდა. ჯიბგირმა გამოსტაცა და გაიქცა. გაძარცულის ამხანაგი უკან დაედევნა. მაშინ ჯიბგირმა ქისა გადაადგო. ლეკები მისცვივდნენ ქისას და ჯერ ძლიერ გაეხარდათ, რადგანაც შიგ ბლომად ეგონათ ფული, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ ქისაში ფულის მაგიერად შაქრის ქაღალდი ყოფილა ერთს ყალბ თუმნიანში გახვეული.

*** ქ. მოსკოვში იბეჭდება და ამ თვის დამლევს გამოვა რუსულს ენაზედ ქართული ლეგენდები გულბათისა, რიცხვით 16. ზოგი ამათგანი კიდეც დაბეჭდილა გაზეთ „მოსკოვის უწყებებში“. ეხლა ამავე გაზეთის რედაქცია რამდენსამე სხვა დაუბეჭდავ ლეგენდებთან ერთად თვისის საფასით ცალკე წიგნად სტამბავს. დასტამბის შემდეგ გასასყიდად დარიგდება რკინის გზებზედ და სხვათა შორის ამიერ კავკასიის რკინის გზაზედაც.

ეს ლეგენდები ავტორს გაუგონია თვის სიყმაწვილეში ქართულად განსწავლულ და განათლებულ კაცისაგან აზნაურ აბრამ ჩირდილელისაგან, რომელიც გიორგი მეფის ძეს ილიას გადაჰყოლია რუსეთში. ლეგენდები საქართველოს ცხოვრებიდამ არიან აღებულნი და გვიხატავენ ჩვენს ძველს დროებასა და ვიჟარებას. თუმცა ეს ლეგენდები თავიანთის შინა რსით და პოეტურის სიკეკლუცით ღირს სახსოვარნი არიან, მაგრამ ჟამთა ვითარებისა გამო დავიწყებას მიეცნენ და ამიტომ ზემოაღნიშნულის წიგნის გამოცემა ფრიად სასიამოვნო ამბად უნდა ჩაითვალოს ქართველ საზოგადოებისთვის.

*** გაზ. „კავკასი“ სწერს, რომ განზრახვა აქვთ საშუალო სასწავლებელი დააარსონ ყარსის ოლქშიო.

*** გაზ. „Сынъ Отеч.“ სწერს, რომ ამ ჟამად არსდება განსაკუთრებული ამხანაგობა, რომელსაც აზრადა აქვს რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილას სამკურნალო-სანატორიები დააარსოს. ამხანაგობას განზრახვა აქვს ამ გვარი სანატორია პირველად სოჭასა და ახალ-ათონში დააარსოსო.

*** სოფ. დიდიკეური. (შორაპნის მაზრა). არ იქმნა და არ გვეღირსა სამრევლო სკოლის დაარსება. რას უნდა მივაწეროთ სკოლის დაუარსებლობა, არ ვიცით. სოფელში ორასი კომლი მცხოვრებელია და საერთოდ ყველანი ისე კარგად არიან წელში გამართულნი, რომ არამც თუ ერთისა, ორის სკოლის შენახვაც არ გაუჭირდებათ. მღვდლის ლავრენტი ცქიტიშვილის მეცადინეობით სოფელმა კაი ხანია, რაც განაჩენი შეადგინა, რომ სკოლა დავაარსოთო, ფულიც გაიწერა, მაგრამ დღემდის ვერავის მოუყვანია სისრულეში ეს განაჩენი.

*** ახალქალაქის მაზრა, (ჯავახეთი). წელს გაზაფხული წვიმიანი იყო და ზაფხულიც ასეთივეა ჯერ-ჯერობით. ამის გამო ხვნა თესვამ გასტანა მაისის 20 ის. თიბათვის 11-ს მთებზედ და მთის ძირა სოფლებში თოვლი დასდო, მაგრამ მალე აიღო. ამ სიცივების გამო ბალახმა ფესვ ჭირნახულმა ვერ აიწია, თუმცა ყოველ დღე წვიმდა, რის გამოც იმედი ჰქონდა ჯავახეთს, რომ წელს მოსავალი იქნებოდა კარგი, მაგრამ სიცივეებმა ხელი დაუშალა. ბევრი დარწმუნებულია, რომ წელს ჭირნახული სეტყვას ვერ ასცდება.

23-ს ივნისს ნაშუადღევისას უცებ ისე დაიჭექა, რომ ყოველი სულიერი მიიმალა. სოფ. საროს და ს. ხიზაბავრის შუა მეხი ჩამოვარდა. ახლოახლო არავინ იყო და იმიტომ უზარალოდ ჩაიარა. ნახევარ საათის შემდეგ შევიტყეთ, რომ, იმავე დროს, პატარა მთის წვერზე, ხიზაბავრის მიჯნაში, მეხმა ხუთი-ექვსი სული ცხვარი იმსვერპლა. გულშეწუხებული მეცხვარე ნახევარ საათის შემდეგ მოასულიერეს ამხანაგებმა.

*** სოფ. ორბელი, (ლეჩხუმის მაზრა). წელს ძლიერ ავი ამინდი დაუდგა ამ სოფლის მთელს საზოგადოებას მოსავლის მხრივ. წარსულს წლებში ჩვენს სოფელს მოსდიოდა 200-დან 500 ფუთამდე ღვინო. წელს ღვინო სულ არ მოვიდა. სიმინდის შესახებ ჯერ გადაწყვეტილი არაფერი ითქმის, მაგრამ ისიც უამინდობისა გამო კარგი არ უნდა იყოს.

*** ქუთაისი. ქალაქის ხმოსნების არჩევანები დაამტკიცეს, მაგრამ ამ დამტკიცებამ სიცხე მისცა ოპოზიციას; ამბობენ, რომ ვითომ ორი ხმოსანი გამორიცხულ იქმნა ოპოზიციის მომხრე და მათ მაგიერ ბ. ლოლუას მომხრენი იქმნენ დამტკიცებულნიო.

*** სოფ. გოგორეთი. 24 ივნისს ქ-ნ ანნა ქარცივაძის თაოსნობით გამართულ იქმნა წარმოდგენა ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ. წარმოდგენას კარგა ბლომა ხალხი დაესწრო.

*** ქუთაისი. ქუთაისის გუბერნიაში სასოფლო-სამკურნალო საქმის განსავითარებლად და განსაკუთრებლად დაარსებულ იქმნა განსაკუთ-

---

— „ეჰ, შენ კიდევ სულ ჰფიქრობ და ჰფიქრობ! რადა ჰფიქრობ ამდენს?“ ყვედრებით შემომეკითხა ბაბო.

— განა შეიძლება კაცმა არ იფიქროს?..

— „ვიცი, ვიცი, რაზედაც ჰფიქრობ! შენ გინდა... იქ წასვლა“...

— მართალია...

— „დათა, დათა, ნუ წახვალ!..“ ხვეწნით მომმართა ბაბომ.

— უიმისობა არ შეიძლება, ჩემო ბაბო!

თვალებში ცრემლი მოერია. რისთვის? რად იტანჯება... ოხ, ნეტავი, ნეტავი... მაგრამ, განა შემეძლო იმისთვის დამეჯერებინა? განა შემეძლო დარჩენა იმ ჯოჯოხეთში? განა ცხრა წელიწადი იმისთვის ვიხეთქე თავი გიმნაზიაში, რომ ჩემი შრომა, ჩემი სიცოცხლე სამაზრო სამმართველოში, ან სხვა ამგვარ დაწესებულებაში დამემარხა? ლუკმა პურისთვის თავი უნდა ჩამეკლა თხოვნების და სხვა ჯანდაბების წერაში, სადაც ყოველ ნაბიჯზედ შეგხვდება: „მოწყალეო ხელმწიფევ“, „თქვენო კეთილშობილებავ“, „ნება მიბოძეთ“ და ვინ იცის კიდევ რამდენი ამისთანა უაზრო სიტყვები! ღმერთმა დამიფაროს! არა, არ შემიძლიან ამგვარი ცხოვრება! მე უფრო ნაყოფიერ შრომისთვისა ვარ დაბადებული! მე უფრო მაღალ აზრს უნდა ვემსახურო! განათლებაა ამისთვის საჭირო! ჩემთვის საჭირო იყო ამ აზრის განხორციელება, უიმისობა არ შემეძლო. საჭირო იყო ჩემი გამეყვანა და აი, გავიყვანა კიდეც... გზაში ვარ... მაგრამ რამდენი ტანჯვა, რამდენი თხოვნა, ხვეწნა, მუდარა მომინდა! ხანდახან მთელი დღე შინ არ შევდიოდი, სადილს არ ვჭამდი, რომ როგორმე ამეცდინა საყვედური და თხოვნა დედ-მამისა, რომელნიც ყოველს ნაბიჯზედ იმას ჩამჩიჩინებდნენ: „ნუ წახვალ და ნუ წახვალო“!

— „დათა, წავიდეთ შინ, სადილობაა! პური გეშიება“, მომმართა კვლავ ბაბომ.

— პური არა მშიან... არ წამოვალ.

— „მაშ აქ მოგიტან რასმე“.

— აი, კეთილი ანგელოზი. ნეტავ რად ვუყვარვარ, რა ნახა ჩემში? ჩვენ თითქმის ერთად აღვზარდენით. იმისი დედ-მამა სცხოვრობდა ჩვენს მეზობლად. მე იმას ყოველ დღე ვხედავდი და ბაბოც დიდი მხიარული იყო ხოლმე ჩემის ნახვისა... შემდეგ და შემდეგ ერთმანეთთან ყოფნაბაასი ჩვეულებად გარდაგვექცა. ერთმანეთს შევეჩვიენით. ყმაწვილობაშივე მიყვარდა იმის მშვენიერი, სიცოცხლით სავსე თვალები, იმისი ყმაწვილური სახე. აი, ეხლაც თვალწინ მიდგა, ვუყურებ და ვსტკბები მისის ცქერით. საწყალი ბაბო! როგორა სტიროდა, როდესაც მეთხოვებოდა! როგორ მეხვეწებოდა, რომ არ დამევიწყა, მყვარებოდა! განა მე შემეძლო მისი დავიწყება? განა შემეძლო იმ მშვენიერის ანგელოზის სიყვარული გულში ჩამექრო? არა, არა! ვერ დაგივიწყებ, ჩემო ბაბო, თუ შენ არ დამივიწყე. ქალის გული უფრო ცვალებადია.

გამოთხოვების დროს დედ-მამა უკანასკნელად მთხოვდნენ, მეხვეწებოდნენ, დარჩი, აქაც იშოვი ალაგსაო, კარგს ჯამაგირს მოგცემენო! ასე ჰგონია მამაჩემს, კაცი მარტო ჭამისთვის იბადებოდეს! ასე ჰგონია, მე იქ იმიტომ მივდიოდი, რომ დაბრუნების შემდეგ უფრო ბევრი ფული მეშოვნა... მაგრამ ერთის მხრით მამაჩემი მართალი იყო, — გამოცდილება ალაპარაკებდა... კერძოდ დედა მთხოვდა, ღმერთი არ დაივიწყო, ილოცე ხოლმეო, და თან თვალცრემლიანი მთრთოლვარე ხელით პირჯვარსა მწერდა და თავისთვის ჩუმად ლოცვებს კითხულობდა... — „ცივ-ცივი ლიმონადი ვისა ჰნებავს“! ამ სიტყვებმა გამომაფხიზლა... სულ ჩაფუშა ჩემი ფიქრები და კვლავ ისევ დამაბრუნა ვაგონში... ისევ ხვრინვა და სტვენა ამ წყეულ, უდარდელ ვაჭრისა...

—

— „ოთხი თუმანი და ცხრა მანეთი ძლივს ვაი-ვაგლახით მომიკოწიწეს“! მარტო გზაში ოც-და ათი მანეთი, დარჩება ცოტა... იქ რაღა ვქნა? იქ რიღათი ვიცხოვრო?

ოხ! რა ცუდად ხვრინავს ეს ვაჭარი! მთელი ღამე ისე ეძინა, რომ ფეხიც არ გაუქნევია. ეხლა-კი მაინც სადგურებთან გადმოხტება ხოლმე და გაემართება „ბუფეტისაკენ“, იქ გადაჰკრავს არაყს და ან სხვა რამეს და რაკი დაბრუნდება, მიწვება და თითქო სამის დღის უძილოა, ხელმეორედ ამოუშვებს თავისებურს უდარდელს ხვრინვა-სტვენას.

ამ ვაჭარს რომ ვუყურებ, ვიდაც მაგონდება! მაგრამ, ჰო! სწორედ ამის შეხედულობის კაცი იყო ჩემს წამოსვლის წინა დღეებში რომ მოვიდა მამა-ჩემთან დი ფულების თხოვნა დაუწყო. მახსოვს მე მისი გაუზრდელი ქცევა! კარგად მახსოვს მამაჩემის თხოვნა, რომ დაეცალებინა! შესაბრალის მდგომარეობაში იყო მამა ჩემი... ვიცოდი, რაც იქნებოდა ამის შემდეგ, ამისათვის მოვემზადე! კვლავ ისევ თხოვნა, ხვეწნა დედა ჩემისა. მამაჩემი დაღვრემილი დადიოდა. სადილობისას დამაშტერა თვალები და წყნარის ხმით დამიძახა:

— „დათა, მაშ როგორ არის საქმე?..“

— რა საქმე? შევიკითხე.

— „მე ისევ იმ საქმისას ვამბობ!“..

— ჩემ წასვლისას?

— „სწორედ“!

— უნდა უეჭველად წავიდე...

— „დათა, ნუ წახვალ, შვილო“!..

— როგორ ნუ წავალ, როდესაც აუცილებელია ჩემი წასვლა.

— „კიდევ! რად უნდა წახვიდე“?

— სწავლაა, მამა, ჩემთვის საჭირო, სწავლა!..

რებული კომისია, რომელმაც სხვათა შორის, საჭიროდ იცნო: ა)დაარსება 12 საწოლიან სასოფლო-სამკურნალოსი ქ. ართვინს და 4 საწოლიან სასოფლო ქსენონისა დ. არდანუჭში, სადაც უნდა დაინიშნოს 2 მკურნალი, 4 ფერშალი და ერთი ბებია; ბ) ბათუმის ოლქის სოფ. ჰედოს—12 საწოლიანი სამკურნალოსი და სოფ. სუნოსა, სხალტასა და დ. ქობულეთში ოთხ-ოთხ საწოლიან სასოფლო ქსენონისა; გ) ზუგდიდის მაზრის სოფ. წალენჯიხს—12 საწოლიან სამკურნალოსი და დ. ზუგდიდს 4 საწოლიან სასოფლო ქსენონისა და არსებულ ქსენონის გადატანა სოფ. ხეთაში; დ) ქუთაისის მაზრის სოფ ბაღდადსა, ხონსა და სამტრედიაში—თითოში 12 საწოლიან სამკურნალოსი და სოფ. ტყიბულსა და ამაღლებას—თითოში 4 საწოლიან ქსენონისა; ე) ლეჩხუმის მაზრის სოფ. ცაგერსა და ბეჩოსა ანუ ლაშაიტს—თითო სასოფლო სამკურნალო; ვ) ოზურგეთის მაზრის სოფ. ჩოხატაურს—8 საწოლიან სამკურნალოსი და ქ. ოზურგეთში—15 საწოლიანისა; ზ) რაჭის მაზრის სოფ. ამბროლაურსა, ონს, უწერას და გლოლას—ორი სამკურნალო ᲓᲐ ორი ქსენონი; Თ) სენაკის მაზრაში—ორის 12 საწოლიან სამკურნალოსი; თ) სოხუმის ოლქში,სადაც რუსეთის შიდა გუბერნიებიდგან გადმოსახლებულნი უნდა დასახლდნენ, სოფ. გუდაუთსა, ოლგინსკოესა და ოკუმში—თითო სამკურნალო და ერთი ქსენონი დ. ოჩემჩირეში და ი) შორაპნის მაზრაში, სადაც აუარებელი ხალხი მუშაობს შავის ქვის ამოღებაზედ, სოფ. საჩხერესა, ჩხარსა და ყვირილაში—თითო ახალი სამკურნალო და სიღნაღის სასოფლო ქსენონი გადატანილ იქმნას ბელაგორის ნაწილშიო.

⁂ ს. კაიშაური. კაიშაურელებს დღემდის რიგიანი ეკკლესია არა ჰქონდათ. ამიტომ იქაურმა მღვდელმა მამა შ. კაიშაურმა მოინდომა ახალი ეკკლესიის აშენება და დაუღალავის მეცადინეობით სულ ორ წელიწადში შეაგროვა კიდეც საკმარი ფული. ახალი ეკკლესიის საძირკველი ჩაყარეს წარსულის მაისის 29 სა. ხალხი მრავალი დაესწრო. საღმრთო წესი აღასრულეს ბლაღ. ზ. დავიდოვმა და მღვდლებმა ირ. სისაურმა და შიო კაიშაურმა. ზოგიერთი მასალის მიტანა ხალხმა თითონ იკისრა უფასოდ და სიხარულითა და ხალისით შეუდგნენ მუშაობას მღვდლისავე ზედამხედველობით. სწორედ მადლობის ღირსია მამა შ. კაიშაური შრომისთვისა და თაოსნობისთვის.

⁂ 30 ივნისს ვარვარინოს სადგურთან რკინის გზის ვაგონიდგან გადმოვარდა მგზავრი დავით ქიშმიშვილი. დაუშავდა თავი და მარჯვენა მხარე.

⁂ გორის მაზრის მცხოვრებელის გლეხის ვასილ ცხოვრებაშვილის 14 წლის ყმაწვილი, რომელიც თომას ვიწრო ქუჩაზედ, გრიქუროვის სახლებში სცხოვრობდა, 27 ივნისს, მტკვარში ბანაობის დროს წყალმა მოიტაცა და დაარჩო. დამრჩვალის გვამი ჯერ ვერ უპოვიათ.

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ-ᲙᲚᲐᲡᲘᲐᲜ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲓ ᲒᲣᲠᲘᲐ-ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲡ ᲔᲞᲐᲠᲥᲘᲘᲡ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ-ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

$189^{6}/_{7}$ სამოსწავლო წლის დასაწყისში სამეგრელოში სამი მეორე-კლასიანი სამასწავლებლო კურსიანი სასწავლებელი დაარსდა: სოფ. ხეთაში, ზუგდიდის მაზრაში, და სოფ. ბანძასა და კიწიაში, სენაკის მაზრაში. დანიშნულება ამ სკოლებისა: მოამზადოს მასწავლებლები წერა-კითხვის საეკკლესიო სკოლებისათვის. ამისათვის ამ სკოლებთან დაარსებულია ერთ-კლასიანი სამაგალითო სკოლები, სადაც სამასწავლებლო კურსის მოსწავლეებმა უნდა ივარჯიშონ გაკვეთილების მიცემაში. მეორე-კლასიან სკოლებში იღებენ მოსწავლეებს, რომელთაც ჩინებულად დაუმთავრებიათ ერთ კლასიანი საეკკლესიო სკოლები. თითო სკოლის შესანახად ხაზინა იძლევა ყოველ წლივ 1,500 მან., რომლიდგან საღმრთო სჯულის მასწავლებელი 21 კვირეულ გაკვეთილისათვის იღებს წელიწადში მხოლოდ 150 მან., უფროსი მასწავლებელი 360 მან., მეორე მასწავლებელი—300 მ. და მესამე მასწავლებელი 240 მ. დანარჩენი 450 მან. დანიშნულია სკოლის სხვადა-სხვა საჭიროებისათვის. საგნები სკოლისა: ძველი და ახალი აღთქმის ისტორია ვრცლად, ვრცელი კატეხიზმო ფილარეტისა, შემოკლებული საეკკლესიო ისტორია, განმარტება მართლ-მადიდებელ ღვთის მსახურებისა, რუსული ენა—ვრცლად ეტიმოლოგია და სინტაქსი რუსულის ენისა და მოკლე ცნობანი რუსულ სიტყვიერების შესახებ, გეოგრაფია, არითმეტიკა სრულად, შემოკლებული რუსეთის ისტორია—საეკკლესიო და სამოქალაქო, შემოკლებული ალგებრა, გეომეტრია, ფიზიკა, მეურნეობა, დიდაქტიკა, ქართული ენა—საერო და საეკკლესიო, სლავიანური ენა, გალობა სლავიანული და ქართული საეკკლესიო.

ყველა ეს საგნები უნდა შეისწავლონ სამის წლის განმავალობაში. რასაკვირველია, ამისათვის მარტო ხუთი დღიური გაკვეთილი არა კმარა. მასწავლებელნი იძულებულნი არიან მოსწავლებთან საღამოზედაც იმეცადინონ, ხოლო საღმრთო სჯულსა და საეკკლესიო გალობაში—კვირა-უქმე დღეებში და ვნების კვირაშიაც-კი. თუმცა ჯამაგირი ძალიან ცოტა აქვთ მასწავლებლებს, მაგრამ საქმის მოყვარეობამ ისინი უზომოდ გაიტაცა და საქმეც ჩინებულად წაიყვანეს, რაც დაამტკიცა $1897/_{98}$ წლის ბოლოს, 15—22 ივნისს, მომხდარმა მოსწავლეების გამოცდამ.

გამომცდელ კომისიის თავ-მჯდომარედ სამივე ზემო დასახელებულ სკოლაში იყო ადგილობრივი საეპარქიო მეთვალყურე სკოლებისა ბ-ნი თ. დ. ჟორდანია. წევრებად იყვნენ სამეგრელოის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელნი: გრიგოლ სოკალსკი (ხეთის სკოლის გარდა) და ტროფიმე ჯოხთაბერიძე, აგრეთვე წევრები საეპარქიო საბჭოს მაზრის განყოფილებისა ᲓᲐ მასწავლებელნი მეორე-კლასიან სკოლებისა. გამოცდამ დაარწმუნა კომისსია, რომ საღმრთო სჯულის და რუსულის ენის სწავლება სამივე სკოლაში წარჩინებულად მიდის. დანარჩენი საგნები თუ-ცა კარგად გაუვლიათ ყველგან, მაგრამ ზოგიერთში შედარებით ცოტა უკეთესად, ზოგიერთში ცოტა ნაკლებად, მაგ. ბანძის სკოლაში განსაკუთრებით კარგად იყო დაყენებული არითმეტიკის სწავლება, ხეთაში—წერისა, კიწიის სკოლაში—გეოგრაფია და გალობისა. გალობის საქმე ყველა სკოლებში ერთნაირად ვერ მიდის, იმიტომ რომ ზოგში არის გალობის მცოდნე მასწავლებელი და ზოგში არა. მეურნეობას ჯერ-ჯერობით მარტო კიწიის სკოლაში ასწავლიან. პროგრამის სისრულით ბანძის სკოლა ყველაზედ წინ არის; მარტო ამ სკოლაში იქნება მომავალ სამოსწავლო წელს სამასწავლებლო კურსი, დანარჩენებში-კი—შემდეგს სამოსწავლო წელს.

როგორც სჩანს, მეორე-კლასიან სამასწავლებლო კურსიანს სკოლებში კურს-დამთავრებულები გ მოდგებიან არა თუ წერა-კითხვის სკოლების მასწავლებლებად, არამედ ყველა მათგანს ადვილად შეუძლიან დაიჭიროს ეგზამენი ერთ-კლასიანის სკოლის მასწავლებლობისაც. მხოლოდ სასურველია, რომ მასწავლებლებს ჯამაგირი მიემატოს. როგორ უნდა გაჩერდეს დიდხანს მასწავლებლად სასულიერო სემინარიაში კურს-დამთავრებული 360—300 მან. მაშინ, როცა ყოველთვის შეუძლია უკეთესი ადგილი იშოვოს.

საზოგადოდ გურია-სამეგრელოში კარგად მიდის საეკკლესიო სკოლების საქმე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამ სკოლების უფროსად დაინიშნა ბ-ნი თ. დ. ჟორდანია. ამ დროებით მთელს გურია-სამეგრელოს ეპარქიაში არის 200-მდე საეკკლესიო სკოლა-ერთ-კლასიანი და წერა-კითხვისა სახელდობრ-გურიაში 80, სენაკის მაზრაში—65 და ზუგდიდისაში—50-ზედ მეტი.

საქმე კიდევ უკეთესად წავიდოდა, რომ მასწავლებლებს ჯამაგირი ჰქონდეთ და ბევრი მტერი არა ჰყავდეს საეკკლესო სკოლებს, რის შესახებაც რუსეთის საეკკლესიო სკოლათა მეთვალყურემ, ბ-ნმა შემიკინმა შეკრიბა საჭირო ცნობები უმაღლესის მთავრობის მოსახსენებლად.

4 ივლისს ამა წლისას მარტვილის მონასტერთან დაიწყება პედაგოგიური კურსები საეკკლესიო სკოლათა მასწავლებლებისათვის. კურსები გასტანს 15 აგვისტომდე. მაყურებლებად მოწვეულია 100 მასწავლებელი: ოზურგეთისა ᲓᲐ სენაკის მაზრიდან თითოდგან 35 მასწავლებელი,ხოლო ზუგდიდიდგან 30.კურსებზედ მოწვეულია უფრო სუსტი მასწავლებლები, რომლებიც არ ყოფილან შარშანდელ ქუთაისის კურსებზედ, და აგრეთვე მსურველები გალობის შესწავლისა. თითო მასწავლებელს სახარჯოდ ეძლევა 14 მან., გურულებს-კი, ამას გარდა, გზის სახარჯოდ 3 მან. კურსების ინსპექტორად დანიშნულია ეპარქიის საეკკლესიო სკოლათა მეთვალყურე ბ-ნი თ. ჟორდანია, მის თანაშემწეებად მაზრის მეთვალყურეები სკოლებისა მ. მ. კაპიტონ გაწერელია და სოლომონ ანდღულაძე

X

უცხოეთი

ᲔᲡ�პᲐᲜᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲝᲛᲘ.

გაზეთებს ჯერ არ მოუტანიათ დაწვრილებითი ამბები სამშსონისა და სერგერის ესკადრების შორის მომხდარის ბრძოლის შესახებ. მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ამ ბრძოლაში ესპანელები იქმნენ დამარცხებული. სამშსონმა მოწინააღმდეგის ესკადრა სრულიად გაანადგურა და თვით იმის უფროსი ადმირალი სერგერი ტყვედ ჩაიგდო. რასაკვირველია ეს დიდი უბედურებაა ესპანეთისთვის, მაგრამ ამ ზღვაზედ მომხდარ უბედურებას კიდევ არაფერად ჩაუგდებდა, რომ ხმელეთზედ მაინც საქმე კარგად მიდიოდეს. ესპანელებს უმთავრესად ხმელეთის ჯარის იმედი ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ. ამერიკამ თუნდაც რომ მთელი ჩვენი ფლოტი გაანადგურონ, ამბობდნენ ესპანელნი, მაინც კუბას კერ დაიპყრობს და ხელიდგან კერ გამოგიტაცებ.

— „ჰო, კარგია სწავლა, მაგრამ ჯიბეში რომ არ გახლავთ“, ჩაილაპარაკა მამაჩემმა მწარე ღიმილით და მერე ისევ წყნარად განაგრძო,— „ხომ იცი, შვილო, სწავლა უფულოდ არ შეიძლება“!

— იქნება როგორმე გავიტანო თავი...

— „მაგრამ ძალიან ძნელი კი უნდა იყოს“...

— ეჰ, არა უშავს რა, სიმშილით არ მოვკვდები...

მამა ჩემი შეჩერდა და ნიკაპი ხელს დააყრდნო... შემდეგ კვლავ მწუხარე კილოთი განაგრძო...

— „შვილო, ხომ იცი, მე რა ჯამაგირს ვიღებ. ის ჩვენც ვაი-ვაგლახით გვყოფნის და შენ რალა გიყოთ, ჰა“!!!

— ვეცდები, სრულიად არ შეგაწუხოთ!

— მამა ჩემმა შუბლი შეიჭმუხვნა და წყრომით, ხმის კანკალით შემომეკითხა:

— „მაშ ჩვენ არ უნდა ვიცოდეთ, გწყურიან, თუ გშიან, გცივა, თუ რა ამბავია შენს თავსა“?

სიტყვა ჩამიწყდა... მახსოვს, თავში აზრები ამერია... მამა კი ჩაციებიო მიყურებდა და იმისი ამ გვარი თვალ-მოუშორებელი ცქერა ჩემგან პასუხს ითხოვდა. ეტყობოდა, ძალიან სწყინდა ჩემი წასვლა... მტანჯავდა ეს ჩაციებითი მისი ცქერა, მინდოდა რამე მეთქო, მინდოდა დამემშვიდებინა, დამეწყნარებინა როგორმე, საალერსო სიტყვა მეთქო, მაგრამ ეს ვერ შევძელი და გიჟსავით წამოვიყვირე:

— დროებით დამივიწყეთ! წარმოიდგინეთ, რომ არც კი გყევართ. თვალებზედ ხელი მივიფარე.

მამა ჩემი აენთო და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სტოლს მუშტი დაჰკრა.

— „სულელო, მაშ შენთვისაც ავი ილი ყოფილა ჩვენი დავიწყება“?!! გიჟსავით კარში გამოვვარდი.

მეორე დღეს გამომაცილეს...

„გაფრთხილდი, შვილო, ოთხი თუმანი და ცხრა მანეთი ძლივს ვაი ვაგლახით მოგიკოწიწეთ“. მამა ჩემს ეს უკანასკნელი სიტყვები გონებაში ლურსმანსავით ჩამერჭო, მოსვენებას აღარ მაძლევს...

—

...მიჰქროლავს... და თან და თან უახლოვდებს მგზავრებს მიზანს... ეტყობა, მგზავრობამ ყველა შეასუსტა... ზოგს თავი მაღლა აუღია, სკამის საზურგესთვის მიუყუდნია,ფეხი ფეხზედ შემოუდვია,ხელები სკამისათვის დაუბჯენია ᲓᲐ მთქნარებით შესცქერის ჭერს ლუარსაბ თათქარიძესავით. აგერ ორს ახალგაზდას თითქო მოსწყენიათ ბაასი,არშიყობა და თითქოს ეთანხმებიან ერთმანეთს რაშიმეო, თავს უკანტურებენ ერთმანეთს. იმ წყეულმა ვაჭარმა ერთი უშველებლად ამოიფშვინა, გაიზმორა, დასიებული თავი საზურგეს სთხლიშა და უცნაურად შეაკვნესა... იქ მყოფთ ყურები სცქვიტეს და წუთით ღიმილი მოეფინა სუყველას მიმტკნარებულს სახეს... მხოლოდ წუთით...

ისევ სიჩუმე, მხოლოდ განუწყვეტლივ გაისმის ვაგონების და გორგოლების ღრიჭინი, რახა-რუხი...

— როგორ მოვეწყობი? პირველად მივეცი ჩემს თავს ეს კითხვა და გავხედე ფანჯრიდგან გაუთავებელს ჭაობებს, ნორჩ ჭალაკებს, რომელნიც აქა იქა ჰფარავენ თვალ გადუწვდენელს მინდვრებს...

— როგორ მოვეწყობი? განუმეორე ჩემს თავს... ახლა ეს გახდა ჩემს საფიქრებელ საგნად... ახლა ეს საგანი მიქეჯნიდა გულს... მეძნელებოდა სრულად უცნობს ქალაქში პირველი მოწყობა...თუნდაც, ვთქვათ მოვეწყე, მერე? მერე, რომ შემომელევა ფული?

— „სწავლა უფულოდ არ შეიძლება!“ მომაგონდა მამი ჩემის სიტყვები და გულში ტანჯვა გამიორკეცდა... მაგრამ მაინც ჩემს თავს არ ვამტყუნებ... „ცდა ბედის მონახევრეა!“ დავაშოშმანე ჩემი თავი ამ ანდაზით და დავიწყე ფანჯარაში ყურება... ამ დროს ჩვენს ვაგონში შემოვიდა ერთი შავგრემანი, გახუნებულს სტუდენტის ქუდში ახალგაზდა, მაღალ-მაღალი და გამხდარი ყმაწვილი კაცი... მიავლ-მოავლო თვალი იქაურობას და ერთს თავისუფალს ალაგას ჩამოჯდა... მოუკიდა პაპიროზს და დაუწყო ნელ-ნელა წევა. ცოტა არ იყოს მესიამოვნა მისი შემოსვლა... ავდექით და მივუახლოვდი...

— თუ ღმერთი გრწამთ, მითხარით, თქვენ სტუდენტი ბრძანდებით? შევეკითხე.

— „დიაღ, სტუდენტი გახლავართ“, მომიგო იმან და გაკვირვებით დამიწყო ყურება...

იგი ქართველი გამოდგა და ამან უფრო გამახარა.

— შინიდგან მობრძანდები?..

— „დიაღ, თქვენ?“

— მე ეხლა ვაპირობ შესვლას ი—ვის უნივერსიტეტში...

— „მეც იმ უნივერსიტეტში ვარ!“

— გავიცანით ერთმანეთი და ბოლოს გადავწყვიტეთ ერთად გვეცხოვრა...

— ლაპარაკი გავაბით. ერთმანეთს ვუამბობდით წარსულს და ვუზიარებდით მომავალს იმედებს...

— „აგერ ის ქალაქიც“, წარმოსთქვა სიკომ (ასე ეძახდნენ ჩემს ახალს ნაცნობს) და ხელით მაჩვენა ერთი პატარა, მაგრამ კოხტა ქალაქი.

მოუთმენლად დამიწყო გულმა ტოკვა...

— წინ, წინ!.. მთლად დამავიწყდა წარსული ტანჯვა-წვალება... კიდევ რამდენიმე წუთი და ჩვენ გავჩერდით რკინის გზის ერთ კოხტა სადგურთან...

(დასასრული იქნება)

კეტლისო; ჩვენ კუბაში 150,000 კარგად გაწვრთნილი ჯარის-კაცი გვყავს და ამერიკის მოუმზადებელი ჯარი იმასთან ვერას გაუწყობსო. მაგრამ, ნამდვილად-კი, დღევანდელი მაგალითი სულ სხვას გვეუბნება: ამერიკელების სმელეთის ჯარმა ისეთივე სიმამაცე და ვაჟკაცობა გამოიჩინა ბრძოლაში, როგორი სიმამაცე და ვაჟკაცობაც ამერიკის ფლოტმა გამოიჩინა. ამ კითხვამდა მოუმზადებელს და გაუწვრთვნელს ჯარს ისე კარგად მიჰყავს საქმე, რომ თითქმის ყოველ შეტაკების დროს გაწვრთნილი ესპანელები უკან იხევენ და ბურთსა და მეიდანს უთმობენ. ამერიკელებმა სანტ-იაგო დღემდის იმიტომ ვერ აიღეს მხოლოდ, რომ ეს ქალაქი ძალიან კარგად არის გამაგრებული და იმის აღებას ბევრი დრო უნდა. სამაგიეროდ ქალაქს გარეთ ამერიკელებმა უკვე დაამარცხეს ესპანელები და ნება-უნებურად ქალაქში შერეკეს მათი ჯარი. განსაკუთრებულ, გაცსარებული ბრძოლა მოწინააღმდეგეთა შორის სანტ-იაგოს მახლობლად მდებარე ქალაქ სან სუანში მოხდა. ეს ქალაქი მაღლობზედაა გაშენებული და კარგად არის გამაგრებული. ამერიკელებმა ოც ჯერ მეიტანეს იერიში, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ აიღეს იგი: ზევიდგან მოწინააღმდეგე საშინელ ტყიას უშენდა და იძულებულ ჰყოფდა ამერიკელებს უკან დაეწიათ. მაგრამ ამ უკანასკნელთ თავი არ მიანებეს ამ სახიფათო ადგილს და ბოლოს ბევრი მეცადინეობისა და წვალების შემდეგ მაინც აიღეს იგი. ამერიკის ჯარს ამ ბრძოლაში წინამძღოლობდა მოხუცებული გენერალი უილერი, რომელმაც თავი ისახელა ჯერ ისევ ჩრდილოეთ და სამხრეთ შტატებს შორის ბრძოლის დროს. მეორე ცხარე ბრძოლა აგვადორესის მახლობლად მოხდა. აქ ესპანელთ ხიდი დაანგრიეს, მეორე მხარეს ზარბაზნები დაამწკრივეს და ნაპირზედ გაჩერებულ ამერიკელებს უუმბარები დაუშინეს. მაგრამ შტატების ჯარის უფროსმა, გენერალმა დიუფილდმა გონება არ დაჰკარგა, ხელად ჯარი მოატრიალა, მეორე ხიდზედ გაიყვანა და თავს დაატყდა ესპანელებს, რომელნიც რამდენსამე წუთის ბრძოლის შემდეგ გაიფანტნენ.

— იმ დროს, როდესაც ამერიკელებს ასე კარგათ მიუყვანიათ თავიანთი საქმე, გაზეთების სიტყვით, ესპანიის ჯარისა და ესკადრის უფროსები ერთ შორიც ჩხუბსა და უთანხმოებაში ატარებდნენ დროს. განსაკუთრებით დიდი უთანხმოება მარშალ ბლანკოსა და ესკადრის უფროს სერვერის შორის სუფევდა. ბლანკო ბრძანებას ბრძანებაზედ უგზავნიდა სერვერს, ხოლო ეს უგანასკნელი არც ერთს ბრძანებას არ ასრულებდა და უთვლიდა ბლანკოს: შენ ნება არა გაქვს მიბრძანოო, მე მხოლოდ იმას ავასრულებ, რასაც სამხედრო მინისტრი მომწერსო. სერვერმა, გაზეთ „Pais“-ის სიტყვით, კიდეც მიჰმართა სამხედრო მინისტრს და შეეკითხა, რა უფლება ჩვენს ესკადრას იმ შემთხვევაში, თუ სანტ იაგო ამერიკელებმა აიღეს: ავაფეთქო თუ მოწინააღმდეგეს დაუთმოგო. სამინისტრომ შემოუთვალა, რომ ნავთ-სადგურს თავი მიახვედ და როგორმე გამოუსხლტი ამერიკის ესკადრასაო.

— გაზეთების სიტყვით, 22 და 23 ივნისს მომხდარ ბრძოლის დროს ესპანელთ 4,000 კაცი დაჰკარგეს, ხოლო ამერიკელთ 1,000 კაცი.

— მანილიდგან იუწყებიან, რომ ბულკონის პროვინციაა მეამბოხეთ აიღეს და თვით ამ პროვინციის გუბერნატორი ტყვედ წაიყვანესო. ამას გარდა კაიბასში მეამბოხეთ დაატყვევეს ესპანიის ერთი გემი, რომელზედაც 500 ჯარის-კაცი იყო. ეს ჯარის-კაცები ნაპირზედ ავიყარებდნენ გადასვლასაო.

— პორტო-რიკოს დედა ქალაქ სან-სუანში ესპანელთ შეთქმულება აღმოაჩინეს. შეთქმულთ აზრად ჰქონიათ ესპანელების განდევნა და პორტო-რიკოში დამოუკიდებელ სახელმწიფოს დაარსება. 5 შეთქმულთაგანი ესპანელთ უკვე დახვრიტეს. დანარჩენსაც ამ დღეებში დასჯიან.

— ესპანიის პარლამენტის სოციალისტთა დასმა ამ დღეებში გამოსცა მანიფესტი, რომელშაც აცხადებს, როგორ საზიზღრად ომს ბრძოლ მოედოს და ზეგი დაიდოს ესპანიისა და ამერიკის შორისაო. მანიფესტში ნათქვამია, რომ თუ მოავრობა ადრე დააოვნებს და ესლაკე შეუდგება შერიგების საქმეს, ესპანია ზოგიერთ ახალ შენს კიდეკ შეინარჩუნებს და ქონებრივად გათავისებას აიცდენს თავიდგანაო; წინააღმდეგ შემთხვევაში-კი, ამბობენ და არეულობა აუცილებელი იქმნება ესპანიაშიო. ასეთივეა თხოვნით მიჰმართა მინისტრ-პრეზიდენტს საგასტას ბარცელონის საკანონო პალატამ.

— თუმცა ამერიკელებმა გაიმარჯვეს, მაგრამ ამ ბრძოლაში ხეირი არც იმათ ქვეყანას დაჰყრია. შეერთებულმა შტატებმა, იმის გარდა, რომ მრავალი მეომარი დაჰკარგა, დღემდის 400 მილიონი მანეთი მოანდომა ომს. მთავრობამ ამ ჟამად უკვალოფერს ბაჟი დაადო, ხოლო მოვაჭრეთ, მრეწველთ, ხელოსანთ, ბანკებს და სხვას გადასახადი მოუმატა. მაგალითად,—ის ბანკი, რომელის თანხაც 50,000 მანეთისაგან შესდგება, წელიწადში 100 მანეთს იხდის, ხოლო მეტის თანხის ბანკები ოთხელს 2,000 მანეთზედ 4 მანეთს იხდიან. იმ ქალაქების თეატრებს, რომელის მცხოვრებელთა რიცხვიც 25,000 კაცს აღემატება, 200 მანეთი შეაქვთ ხაზინაში; თითო ბილეთზედ 10 მან. იხდის. ასევე მოუმატეს ბაჟი თამბაქოს, ღუდს, ღვინოს და მრავალ სხვასაც.

დამაკვირდი

ცუნდრუკება ეს არის: ვინცა ვინ ჩურჩულითა ან თვალის ქნითა თუ ნიშნებითა კაცისათვის ავს ლაპარაკობდეს და გამოჩენით შირს ვერა უთხრას-რა.

ნიკოლოზ ტფილელი

* * *

კაცი უნდა გამაგრდეს, არ განიძოს ცნობითა.

დიმიტრი ბაგრატიონი

* * *

ოდეს სულისგან დაიხსნებიან, დახრწნადი ხორცი დაუკლდებათ, მაღალნი აზრნიც წარუწყმდებიან.

დავით ჩოლოყაშვილი

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲒᲐᲜ

(ამოკრებილი ამბები)

მრავალ გვარად შეიცვალა დედა-მიწის ზურგი, ვიდრე ეხლანდელს სახეს მიიღებდა. იქ, სადაც ეხლა ჰიმალაის მაღალი მთებია ამართული, უწინ ზღვის ზვირთები ღელავდა. სადაც ეხლა უდაბნოებია და ქვიშის მეტი არაფერია, უწინ მშვენიერი ტყეები იყო. მაგალითად, სადაც ეხლა პრუსიაა არის და დანია, უწინ დაბურული ტყე იყო. ამ ტყეში ძლიერ ბევრი იყო ფიტვის ხე. მკითხველს მოეხსენება, რომ ფიტვის ხეს თვისი წებო აქვს. ეს წებო ხეს ზედ ახმეზოდა და მერე სცვივოდა. განვლო საუკუნოებმა და შემხმარი წებო გარდაიქცა ქარვად.

ჯერ ისევ ქრისტეს დაბადებამდე 1800 წლის წინად ფინიკიელებმა იპოვნეს ქარვა ბალტიის ზღვის ნაპირებზე, მოჰქონდათ ხოლმე და ჰყიდნენ რომაელებზედა და ბერძნებზე. პლინიუსის დროს ადამიანის წონის ოდენა ქარვა თვით ადამიანზე უფრო ძვირადა ჰფასობდა. რომის იმპერატორმა ნერონმა საგანგებოდ გაჰგზავნა კაცები ქარვის მოსატანად. ამბობენ, ამ კაცების მიერ მოტანილ იყო ერთი ნაპერი ქარვისა, რომელიც 13 გირვანქას იწონიდა.

ბერძნები და რომაელნი გარდა ამისა ქარვას სხვა-და-სხვა ავადმყოფობის წინააღმდეგ ხმარობდნენ წამლად. ებრაელების მღვდლები ქარვას გულზედ იკიდებდნენ, ვითარცა ძვირფასს სამკაულს.

არაბები ამბობდნენ ძველად, რომ ქარვა გამაგრებული ნამი არისო. სოფოკლი ამბობდა, რომ ქარვა მალეორგარის ცრემლებისაგან კეთდებაო. ასეა თუ ისე ქარვას უწინდელი ხალხი ძლიერ აფასებდა. ამბობენ, რომ ოქროზე ძვირადაც-კი იყიდებოდაო.

ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო წიგნაკი „ბენიამენ ფრანკლინი“ Ა. კორსუნსკისა, თარგმნილი და გამოცემული გურულ-იმერლის მიერ. წიგნაკი 96 გვერდს შეიცავს და ღირს ერთი აბაზი. თავში წიგნაკს ფრანკლინის სურათი აქვს დართული.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

28 ივნისი

პეტერბურგი. 27 ივნისს, საბერძნეთის დედოფალი უავგუსტოესის შვილებითურთ პავლოვსკიდგან ახალ პეტერგოფში მოვიდა. სადგურზედ დედოფალს მიეგებნენ ხელმწიფე იმპერატორი და დედოფალნი იმპერატრიცანი მარიამ თეოდორეს ასული და ალექსანდრა თეოდორეს ასული. სადგურიდგან დედოფალი ალექსანდრიაში წავიდა.

პარიჟი. პიკარმა მისწერა ბრისონს, შემიძლიან შესაფერ იურიდიულ დაწესებულების წინაშე დავამტკიცო, რომ ის საბუთის ქალალდები, რომელთა შესახებაც კავენიაკი იუწყებოდა ხუთშაბათს, ყალბია, ან დრეიფუსს არ შეეხებიანო.

პარიჟი. ზნე-ხასიათის გამასწორებელმა სასამართლომ დაადგინა განაჩენი ექსპერტების საჩივრის გამო ზოლასა და „Aurore“-ს რედაქტორის წინააღმდეგ. ზოლას მიუსაჯეს 2,000 ფრანკი ჯარიმა და 15 დღით საპყრობილეში დაპატიმრება, ისე-კი, რომ ეს განაჩენი სისრულეში დაუყოვნებლივ არ იქმნას მოყვანილი. ამას გარდა სასამართლომ გადაწყვიტა გამოაქვეყნოს განაჩენი ათს გაზეთში და ზოლამა და „Aurore“-ს რედაქტორმა გადახადონ 5,000 ფრანკი თითოეულ ექსპერტის სასარგებლოდ.

მადრიდი. 27 ივნისს, ბლანკო დეპეშით იუწყება, რომ სამპსონმა დეპეშით შემომითვალა კუბიდგან ესპანიის ჯარი გაიყვანეო; ვადათ 48 საათს გინიშნავო. წინააღმდეგ შემთხვევაში ამერიკის ესკადრა კუნძულს ყველა სიმაგრეს ყუმბარებს დაუშენოო. ბლანკომ უარი შეუთვალა.

29 ივნისი

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. შაფტერი დეპეშით ატყობინებს მთავრობას, რომ 1 სა და 2-ს ივნისს მომხდარ ბრძოლაში ამერიკის ჯარის 22 აფიცერი და 208 ჯარის-კაცი მოკლულ იქმნა; 81 აფიცერი და 1,203 ჯარის-კაცი დაიჭრა, ხოლო 79 კაცი სადღაც დაიკარგა.

მადრიდი. „Liberal“-ი ამტკიცებს, რომ ზავის დადება შეუძლებელიაო. ჯარი რომ კუბიდგან გავიდეს თვით მცხოვრებლები განაგრძობენ ბრძოლას, რათა ამერიკელებად არ იქმნენ გადაქცეულიო.

„Imporcial“ ამბობს, რომ კარლისტების აგიტაციამ მთავრობა შეაფიქრიანაო.

მადრიდი. ბლანკოს მიერ გამოგზავნილი ოფიციალური დეპეშა იუწყება, რომ ამერიკელებმა სანტ-იაგოში ყუმბარების სროლა შესწყვიტეს და ტყვეები გაუცვალეს ჩვენს ჯარსაო. ამერიკელების მოსაშველებლად მოსული ჯარი ნაპირზედ გადმოვიდა, რათა გარსიას შეუერთდესო.

მადრიდი. ის ხმა, რომ მინისტრთა შორის უთანხმოება არისო, მართლდება; გამაზო და რომერო ზავის მომხრენი არიან, კორრეა და აუნიონი-კი ამტკიცებენ, რომ უნდა ვიბრძოლიდ, ვიდრე ბრძოლა შესაძლებელი იქმნებაო, ხოლო საგასტა და სხვა მინისტრები ყოყმანობენ. ბლანკო ამბობს, რომ ომი უნდა განვაგრძოთო; ამას გარდა, საეჭვოა, ორივე პალატამ დაამტკიცოს ის, რომ ამერიკელებს მიწა დაუთმოსო, კარლისტები მოქმედებას შეუდგნენ.

30 ივნისი

ᲒᲝᲜᲙᲝᲜᲙᲘ. როგორც კანტონიდგან მოსულის ცნობებიდგანა სჩანს, კვან-სის პროვინციის მეამბოხენი შესდგებიან „შავის დროშებისა“ და ანამელებისაგან. ეს უკანასკნელნი ის ჯარის-კაცები არიან, რომელნიც საფრანგეთის ჯარიდგან გაიქცნენ. მეამბოხეთ მიუძღვით ორი უცხო ქვეყნელი. ამ ჟამად მეამბოხენი კვანჯუვუნას პირდაპირ სდგანან, იმ აზრით, რომ ფრანგებს დაეცნენ. ექვსი გემი მანჯურიის ჯარის 3000 ჯარის-კაცით გაგზავნილ იქმნა კანტონიდგან პაკოიში.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. სამხედრო სამინისტრომ ამბავი მიიღო, რომ სანტ-იაგოს უკვე დაუწყეს ყუმბარების სროლაო.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. ხურაგუადგან მოსული დეპეშა იუწყება, რომ 9 ივლის (ახ. სტილიით) მოვიდნენ ესპანიის აფიცრები და თან წერილი მოიტანეს გენერალ ტორალასაგან, რომელიც უცხადებს შაფტერს, რომ მზადა ვარ ქალაქი დავიმორჩილო, მხოლოდ იმ პირობით-კი თუ ჯარს ნებას მისცემ, რომ იარაღითა და სამხედრო პატივით გავიდეს. პირობები ვაშინგტონში შეატყობინეს.

შაფტერის დეპეშა იუწყება, რომ საქმის ვითარება შეიცვალა, ამ ჟამად მიუდგომელი ადგილი მიჭირამს და თავს დასხმისა არ მეშინიანო.

ᲘᲝᲙᲐᲰᲐᲛᲐ. სეულში ხელ-ახლა აღმოაჩინეს შეთქმულება. დაპატიმრებულ იქმნან სხვა და სხვა წარჩინებული მოხელე, სხვები გაიქცნენ, მათ შორის სამხედრო მინისტრად ნამყოფიც.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. „Dailu Telegraph-ს“ მადრიდიდგან ატყობინებენ, რომ ზავის შესახებ მოლაპარაკება დაიწყეს და უკვე შესაფერ ნაყოფს მიაღწიესო. ახლა მომავალში მოლაპარაკება ოფიციალურ ფორმას მიიღებსო.

მადრიდი. „Imparciai“-ის სიტყვით, მთავრობა იმ დასკვნას დაადგა, რომ თუ მოლაპარაკებას სანტ-იაგოს და მანილის დაპყრობამდე შეუდგება, მაშინ მოსალოდნელია, რომ პირობები იმდენად საზარალო არ იყოს, როგორიც შემდეგ იქმნება „Imparcial-ი“ ამბობს. რომ მთავრობამ ასეთის შინაარსის დეპეშა გაუგზავნა ბლანკოსაო. ბლანკოს პასუხებზედ იქმნება დამოკიდებული შეუდგება თუ არა მთავრობა მოლაპარაკებას.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲠᲔᲑᲐ

ამითი აცხადებს ქ. ტფილისის მცხოვრებელთა საყურადღებოდ, რომ, საგუბერნიო მთავრობის ნებართვისამებრ, ყოველ-გვარ **ᲜᲐᲒᲐᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲐᲚᲐᲮᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲣᲤᲠᲐ ᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐ** მდ. მტკვრის შემდეგს ადგილებში:

მტკვრის მარჯვენა მხრივ:

1. ვერის აღმართის მახლობლად, ხიდის მარჯვნივ ოლკას ქუჩიდგან.
2. მნაცაკანის ხიდთან.

მტკვრის მარცხენა მხრივ:

3. ხოსროევისა და ზუბალაშვილის ქარვასლასთან, რიყის მხრივ, საქალაქო საჭირო ადგილების მახლობლად.
4. გოგილოს აბანოსთან.
5. მნაცაკანის ხიდის მახლობლად.
6. მუშტაიდის ვიწრო ქუჩასთან, რომელიც ჩადის მდ. მტკვარზედ.
7. ხელდახელ გადასაყრელ ნაგავისათვის პონდოევის ეზო ქვემო ავლაბრის ხიდთან, თათრების მეჩეთის მახლობლად.
8. ამათ გარდა ნაგვის გადაყრა შეიძლება მადათოვის კუნძულის ჩრდილოეთ მხარეს.

(3—6.—2)

ᲒᲐᲛᲡᲔᲡᲮᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲡᲡᲐ

გიორგი სიმონის ძის ივანოვისა

გადატანილ იქმნა

მიხეილის ქუჩაზედ, № 101. „სობრანიის“ საზაფხულო სადგომის პირდაპირ, საკუთარს სახლებში. (2—1 04—1)

Дозволено цензурою, Тифлисъ 30 го Іюня 1898 г. სტამბა მ. მარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ.